სვინესიოს კვირინელი

სვინესიოსი დაიბადა 370 წელს ლიბიის ქალაქ კვირინეში, რომელიც დორიელთა ძველ კოლონიას წარმოადგენდა. იგი ჰესიხიდების ცნობილი გვარიდან იყო და ადგილობრივ არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნოდა, რომლის წარმომადგენლებიც თავს კვლავ წმინდა დორიელებად მიიჩნევდნენ. მაღალი წარმოშობისა და ქონებრივი შეძლების წყალობით, სვინესიოსს თავისი დროისათვის სრულყოფილი განათლება მიუღია. ძმასთან ერთად იგი წასულა ალექსანდრიაში, სადაც დამოწაფებია მათემატიკოსი თეონის ქალიშვილს ჰიპატიას, რომელიც ცნობილი ნეოპლატონიკოსი იყო. ყურადსაღები ფაქტია, რომ წარმართი მასწავლებლის სიყვარული და პატივისცემა სვინესიოსმა გაქრისტიანების შემდეგაც შეინარჩუნა. სწავლის გასრულების შემდეგ იგი თავის მამულს დაუბრუნდა. 397 წელს კვირინელებმა სვინესიოსი, როგორც თავიანთი წარმომადგენელი, არკადი კეისრის კარზე წარგ-ზავნეს გადასახადების შემცირების სათხოვნელად. კონსტანტინეპოლში გამეფებული არეულობის გამო სვინესიოსი აქ სამ წელს დარჩენილა და ბოლოს სამეფო კართან დაახლოებული პირის, ავრელიანეს, წყალობით მოუხერხებია იმპერატორთან შესვლა. არკადი კეისრის წინაშე მან წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა „სამეფო ძალაუფლებაზე“, რომელშიც იმპერატორს დაუმტკიცა, რომ კვირინელთა თხოვნა გადასახადების შემცირების თაობაზე სამართლიანი იყო. ამავე სიტყვაში იმპერიის ხელისუფლებას მან დაუხატა ცხოველი სურათი იმ საფრთხისა, რომელიც ქვეყანას გუთების მხრიდან ელოდებოდა. ცნობილია, რომ ამ დროს იმპერიის ჩრდილოეთ მხარეს გამუდმებით თავს ესხმოდნენ გუთები ალარიხის მეთაურობით. არკადი კეისარმა მათ მოსაგერიებლად უკეთესი გზა რომ ვერ გამონახა, მეორე გერმანელი, ვანდალი სტილიხონი

მოიწვია. რა თქმა უნდა, ქვეყნის საზღვრების დასაცავად არჩეული ეს გზა ძალიან საეჭვო ჩანდა, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო, გუთების ბელადები შეთანხმებულიყვნენ და იმპერიაზე საერთო ძალით გაელაშქრათ, მით უმეტეს, რომ ამ დროს თავად კონსტანტინეპოლშიც გაძლიერდა გერმანელთა პარტია გაინას მეთაურობით. ამ სიტუაციამ სახელმწიფოს ბედზე დაფიქრებულ ადამიანებს განსაკუთრებული სიმწვავით აგრძნობინა საფრთხე, რომელიც აღმოსავლეთ რომის იმპერიას გერმანელების მხრიდან ემუქრებოდა. ამ ადამიანთა თვალსაზრისს გამოხატავს სვინესიოსიც თავის სიტყვაში „სამეფო ძალაუფლების შესახებ“, კერძოდ, იგი მოითხოვს გუთების გადაყენებას საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებიდან და ეროვნული ჯარის შექმნას: „პირველ ყოვლისა, საჭიროა უცხოელები გადაყენებულ იქმნენ სამეთაურო თანამდებობებიდან და წაერთვათ მათ სენატორის პატივი, ვინაიდან, რაც ძველად, რომაელების დროს, საპატიოდ ითვლებოდა, უცხოელთა წყალობით სამარცხვინოდ გადაიქცა. ამ მხრივ, როგორც ბევრ სხვა რამეში, მე მაკვირვებს ჩვენი უგუნურება. ყოველს, ცოტაოდნად შეძლებულ სახლში ნახავ მონა სკვითს (ე. ი. გუთს), ისინი მსახურობენ მზარეულებად, ღვინის მწდეებად; სკვითები არიან ისინიც, ქუჩებში რომ დადიან სკამით ზურგზე და აწოდებენ იმათ, ვისაც დასვენება უნდა. მაგრამ ნუთუ დიდი გაკვირვების ღირსი არ არის გარემოება, რომ იგივე ქერა, ევბეურ მოდაზე დავარცხნილი ბარბაროსები, რომლებიც კერძო ცხოვრებაში მოჯამაგირის დანიშნულებას ასრულებენ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენი მბრძანებლები არიან? მეფის მოვალეობას შეადგენს გაწმინდოს ჯარი, როგორც ხორბლის ხვავი, რომლიდანაც ჩვენ გამოვკრებთ ხოლმე ყოველგვარ უვარგის ნივთიერებას.

მამაშენმა (ე. ი. თეოდოსი პირველმა), თავისი ჩვილი ხასიათის გამო, წყალობით მიიღო ისინი, უბოძა მათ მოკავშირეთა წოდება, მიანიჭა მათ პოლიტიკური უფლებები და პატივი და დაასაჩუქრა ისინი მიწებით. მაგრამ ბარბაროსებმა ვერ გაიგეს და ვერ დააფასეს მათდამი კეთილშობილური მოპყრობა; მათ ამაში ჩვენი სისუსტე დაინახეს და გათავხედდნენ. შენ უნდა გაამრავლო ჯარში ჩვენიანები, აღამაღლო მისი სული და ამით შეავსო ის, რაც ჩვენს ჯარს აკლია. ბარბაროსები ან მიწის დამუშავებას შეუდგნენ, როგორც ერთხელ ქმნეს მესენიელებმა, რომლებმაც დაყარეს იარაღი და მონებად იყვნენ ლაკედემონელებთან, ან იმავე გზით დაიკარგონ, რომლითაც მოვიდნენ, და აუწყონ წყლისა და (დუნაის იქითა) მცხოვრებლებს, რომ ამიერიდან რომაელებს აღარ ახასიათებს სიჩვილე და მათში ახლა კეთილშობილი ყრმა მეფობს“ (თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა).

როგორც ჩანს, კონსტანტინეპოლში ყოფნისას დაწერა მან კიდევ ერთი ნაწარმოები, კერძოდ, პოლიტიკურ-ფილოსოფიური რომანი „ეგვიპტელები ანუ განჭვრეტის შესახებ“. ამ თხზულებაში გადმოცემულია სვინესიოსის თვალსაზრისი კაცთა ზნეობაზე, განსაკუთრებით იმათ ზნეობაზე, რომელნიც სახელმწიფოს სათავეში ექცევიან და ქვეყანას განაგებენ. ნაწარმოებს ალეგორიული ხასიათი აქვს. ავტორის მიერ დახატული ორი ტიპი ხელისუფლისა ეგვიპტური მითოსის პერსონაჟების, ოზირისისა და ტითონის, სახითაა წარმოდგენილი. მართალია, ოზირისი და ტითონი ძმები არიან, მაგრამ ხორციელი ნთესაობა სრულიადაც არ მოასწავებს სულიერ ნათესაობასაც. სვინესიოსის რწმენით, სულებს ახასიათებს შობა არა ერთი და იმავე მიწიერი მშობლებისაგან, არამედ ერთი და იმავე წყაროსაგან. ასეთი წყარო კი ბუნებამ ორი შექმნა: ერთი სანთლის მსგავსია, მეორე კი – სიბნელისა. პირველი ზეცის წიაღიდან მოედინება,

ხოლო მეორე მიწიდან გამოდის. წყარო, რომელსაც დასაბამი ზეცაში აქვს, ღმრთისაგან დედამიწაზე ყოველდღიური ცხოვრების მოსაწესრიგებლადაა წარმოგზავნილი. ამავე დროს, ღმრთისგანვე აქვს მას ნაბრძანები, რომ ფრთხილად იყოს, რათა უწესრიგობისა და სიმახინჯის გვერდით ყოფნისას თავად არ აივსოს სირცხვილითა და უპატიობით და მათ ნაცვლად წესრიგი და სილამაზე დაამყაროს. თემიდას კანონის მიხედვით, სული, რომელიც შეეხო უკიდურეს ბოროტებას, მაგრამ სიწმინდე შეინარჩუნა, იმავე გზით დაბრუნდება უკან და მშობელ წყაროს შეუერთდება. ასევე სულები, რომლებიც სხვა წყაროდან გამოდიან, უცილობლად გაქრებიან თავიანთი მშობელის ბნელ წიაღში. ამ ორი წყაროს არსებობითაა განპირობებული სწორედ კეთილშობილება და სიმდაბლე სულებისა. თხზულების ამ ნაწილში სვინესიოსის მსჯელობას საფუძვლად უდევს ნეოპლატონიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის პლოტინეს მოძღვრება სულთა მიმოქცევაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, რომ ერთი საერთო წყაროდან წარმომავლობის გამო ლიბიელი და პართელი სულით ნათესავები აღმოჩნდნენ, ხორციელ ძმებს კი არაფერი ჰქონდეთ საერთო.

სწორედ ამ მიზეზით აღმოჩნდნენ სულიერად ერთმანეთისათვის სრულიად უცხონი ერთი და იმავე მიწიერი მშობლების შვილები: ტითონი და ოზირისი. უმცროსი ძმის, ოზირისის, სული ღმრთეებრივი სიბრძნისაგან იშვა და იზრდებოდა. იგი ყრმობიდანვე ესწრაფვოდა ცხოვრების შეცნობას, სიამოვნებით უსმენდა ზღაპრებს, რომლებიც სვინესიოსის თქმით, **ბავშვებისათვის ცხოვრების მეცნიერებას** წარმოადგენს, ხოლო როცა წამოიზარდა, იმგვარი ცოდნის შეძენას დაეწაფა, რომელიც დროს არ ემორჩილება. კეთილშობილურმა სულმა თანატოლებს შორის იმთავითვე გამოარჩია იგი სიდარბაისლითა და

ზრდილობით. თუმცა იმ კაცის შვილი იყო, ვინც ქვეყანას განაგებდა, არ ეძნელებოდა გზა და ადგილი დაეთმო მოხუცი ეგვიპტელებისათვის, პატივისცემით მოპყრობოდა თანატოლებს, ეზრუნა ყველაზე, ვისაც კი იცნობდა.

უფროსი ტითონი კი მთელი არსებით უარყოფდა და დასცინოდა სიბრძნეს, რომელსაც მამამისის მიერ მოწვეული მასწავლებლები ასწავლიდნენ, ყველაფერში უზომოება ახასიათებდა. ძალოვანი სხეულით თავი ისე მოჰქონდა, თითქოს უმაღლეს სათნოებას ფლობდა, არად მიაჩნდა სხვისი დამცირება და შეურაცხყოფა. მალე შურმა ოზირისის მიმართაც შეიპყრო; ეგვიპტელებიც შეიძულა, რადგან ისინი პატივს სცემდნენ და სიტყვებითა და სიმღერებით ხოტბას ასხამდნენ ოზირისს. ასე რომ, ბუნებამ ყრმობიდანვე განსაზღვრა მათი ცხოვრების სხვადასხვა გზა: ერთის ხვედრი სათნოება აღმოჩნდა, მეორისა კი – ბიწიერება.

ჭაბუკი ოზირისი შუბოსანთა რაზმის უფროსი გახდა, ხოლო ტითონი – ხაზინისა. აქაც მალე შეირცხვინა თავი, რადგან საზოგადოებრივი ქონების დატაცებასა, ქრთამის აღებასა და საქმის უცოდინარობაში ამხილეს. მამამ სხვაგან გადაიყვანა, მაგრამ ამაოდ, რა თანამდებობაც არ მიიღო, ყველგან საქმე წაახდინა. რაც მთავარია, ტითონი დაუძინებელი მტერი შეიქნა გონიერი ადამიანებისა, რადგან მათში თავის შეურაცხმყოფლებს ხედავდა.

როცა ეგვიპტეს ბარბაროსების ბატონობის გამო გაუჭირდა, ოზირისი თავისი ნებით ჩაუვარდა მათ ხელში, რათა ქვეყანა და კანონები გადაერჩინა. გახარებულმა ტითონმა მისი მოკვლა მოითხოვა, მაგრამ თვითონ ბარბაროსები შეიპყრო სათნოების წინაშე მოკრძალებამ და ამიტომ მისი გაძევება გადაწყვიტეს; ბოლოს ამისიც შერცხვათ და გაძევება გადასახლებით შეუცვალეს. ტითონის ბრძანების მიუხედავად, ბარბაროსებმა ხელი არ ახლეს მის ფულსა და ქონებას და ოზირისიც

გაემგზავრა ღმრთითა და კეთილშობილი გმირებით დაცული, რათა დანიშნულ დროზე დაბრუნებულიყო.

სანამ წმინდა სული უცხოეთში იმყოფებოდა, ქვეყანაში მწუხარება და უწესრიგობა გამეფდა. ტითონი ყოველგვარი ბოროტი საქციელით ემსახურებოდა მის სულში ჩასახლებულ დემონებს, რომელთაც იგი ტირანად აქციეს. როგორც კი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, ქალაქებს გადასახადები გაუზარდა და სასწრაფოდ გამოჩხრიკა არარსებული ან დიდი ხნის წინათ დავიწყებული ვალები. უვიცმა და უგუნურმა არ იცოდა, ვისგან რა უნდა მოეთხოვა, ამიტომ სახელმწიფოში არცერთი ადამიანი არ ცხოვრობდა მშვიდად და არავის არაფერი არ უხაროდა. ყველაზე დიდი უბედურება კი ის იყო, რომ დაგზავნა რა პროვინციებში თავისი თანაშემწეები და მოხელეები, ტითონი აშკარად ჰყიდდა პროვინციებს.

ადამიანს, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ორი გზით შეეძლო მიეღწია ტითონამდე. ერთი გზა – ეს იყო ფულის გადაცემა ტითონის ცოლისათვის; ვინც ამას მოახერხებდა, ის ტირანის წყალობასაც იმსახურებდა. ტითონი საერთოდაც მორჩილი იყო ქალებისა და მათ მიმართ ისეთი მადლიერების გრძნობას ამჟღავნებდა, თითქოს ხელისუფლება მათი წყალობით ჰქონდა მოპოვებული. მეორე გზა – ეს იყო საერთო ენის გამონახვა მისი ავაზაკების ბრბოს ან თანამესუფრეთა რომელიმე წარმომადგენელთან; ვინც ამ გზას აირჩევდა, ამ საბრალო ადამიანებისათვის, რომელნიც არარაობას წარმოადგენდნენ, ხოტბა უნდა შეესხა, ამასთან არ უნდა დავიწყებოდა, შეურაცხყოფის მიყენება ოზირისისათვისაც. ამ გზით ისინი სასურველს აღწევდნენ, თუმცა იცოდნენ, რომ ღმერთებისა და ბრძენთათვის საძულველნი ხდებოდნენ.

რომანის მკვლევართა აზრით, ბარბაროს სკვითებში, რომელთაც საფრთხე შეუქმნეს ეგვიპტეს, გუთები იგულისხმება, ოზირისში – არკადი

კეისრის დიდი მოხელე ავრელიანე, ხოლო ტითონში – მისი ძმა კესაროსი, რომელმაც გუთების შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა და ძმა მათ წინამძღოლს, გაინას გადასცა.

მიუხედავად იმისა, რომ, როცა ორ საწყისს – სიკეთისას და ბოროტებისას, – აღიარებდა, სვინესიოსი მსოფლმხედველობრივად მცდარ პოზიციაზე იდგა, მან მაინც შეძლო დაეხატა ძალიან ცოცხალი, და ამასთან განზოგადებული სახეები, როგორც კაცთმოყვარე და სამართლიანი, ისე ეგოისტი და უსამართლო ხელისუფალისა, რომელნიც ყოველ დროში არსებობდნენ და იარსებებენ, ვიდრე ამ სამყაროს აღსასრულის ჟამი დადგება. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მათ შექმნაში, სვინესიოსს მაღალზნეობრივი თვისებები დაეხმარა, რომელიც პიროვნულად ახასიათებდა.

ნაწარმოებში ბარბაროსი სკვითებისა და მათი მოკავშირე ტითონის ბატონობას ისეთივე დასასრული აღმოაჩნდა, როგორც გუთებისას კონსტანტინეპოლში. ისტორიიდან ცნობილია, რომ დედაქალაქის მცხოვრებლებმა ქალაქიდან გასულ გაინას კარები ჩაუკეტეს და თავის ძირითად ლაშქარს მოწყვიტეს, რომელიც ერთიანად ამოჟლიტეს. ისტორიკოსთა ცნობით, ამ დღეს შვიდიათასზე მეტი გუთი დაიღუპა.

როგორც ვხედავთ, ის სამი წელი, რომელიც სვინესიოსმა კონსტანტინეპოლში გაატარა, მისთვის უნაყოფო როდი გამოდგა. სამეფო კარის ცხოვრების ახლოს გაცნობამ მას საშუალება მისცა შეექმნა საინტერესო თხზულება, რომელშიც არა მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური მსოფლმხედველობა გადმოგვცა, არამედ ალეგორიულად აგვისახა ბიზანტიის იმპერიის იმდროინდელი მდგომარეობაც.

სამი წლის ლოდინის შემდეგ სვინესიოსმა მიზანს მიაღწია: მის მშობლიურ ქალაქს გადასახადი შეუმცირეს. ამავე დროს თავისი განათლებითა და მჭევრმეტყველბით მან ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება

მოახდინა, რომ სამეფო კარზე დარჩენა და სამსახური შესთავაზეს, მაგრამ სვინესიოსმა იმპერიის ცენტრში ცხოვრებას მშობელ მხარეში დაბრუნება არჩია. აქედან მოყოლებული იგი ხან თავის მამულში ცხოვრობდა, ხან კიდევ ქალაქ პტოლემაისში. სვინესიოსი ხშირი სტუმარი ყოფილა ალექსანდრიისაც. ერთ-ერთი სტუმრობისას მან ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსის თეოფილეს რჩევითა და კურთხევით ცოლიც შეირთო. ქრისტიანი ქალის შერთვა ქრისტიანთა წრეებთან სვინესიოსის მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს, მაგრამ მისი ამ პერიოდში შექმნილი ღმრთის სადიდებელი ჰიმნები მაინც ამჟღავნებენ კავშირს ნეოპლატონიზმთან.

სვინესიოსს სამი შვილი შეეძინა და რამდენიმე წლის განმავლობაში ოჯახური ცხოვრების მყუდროებით ტკბებოდა. ამ დროს იგი გატაცებული ყოფილა პირველი საუკუნის ბოლოსა და მეორე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ფილოსოფოსისა და ორატორის, დიონ ქრიზოსტომოსის, თხზულებებით. დიონის ჩვენამდე არმოღწეული იუმორისტული ნაწარმოების „ქება კულულებისა“ საპასუხოდ სვინესიოსს დაუწერია „ქება სიქაჩლისა“. ამ პერიოდს ეკუთვნის, აგრეთვე, მისი საკმაოდ ბუნდოვანი ტრაქტატი „სიზმრების შესახებ“, რომელსაც კიდევ უფრო მეტად ეტყობა ნეოპლატონიზმის გავლენა. მაგრამ ასეთი იდილიური ცხოვრება დიდხანს როდი გაგრძელდა. საზღვრისპირა პროვინციის მდგომარეობა, რომელშიც სვინესიოსი ცხოვრობდა, უფრო და უფრო გაუარესდა. უდაბნოდან დაძრული მომთაბარენი თავიანთი ხშირი თავდასხმებით მოსვენებას არ აძლევდნენ ამ კუთხის მცხოვრებლებს. სვინესიოსი, როგორც ეს ჭეშმარიტ მამულიშვილს შეეფერება, იარაღით იცავდა მშობლიურ მხარეს და მრავალ ცხარე ბრძოლაშიც ისახელა თავი.

411 წელს მას პტოლემაისის ეპისკოპოსობა შესთავაზეს, რაზეც რამდენჯერმე უარი განაცხადა. უარის მიზეზებად მან დაასახელა სურვილი ცოლშვილთან ცხოვრებისა და ფილოსოფიური მოღვაწეობის გაგრძელებისა. მთავარი მიზეზი კი მაინც ის იყო, რომ მას გაუჭირდა ნეოპლატონურ სწავლებათა გავლენისაგან თავის დაღწევა, რის გამოც ხშირად მისი რელიგიური შეხედულებანი ქრისტიანული მოძღვრების დოგმატებს არ ემთხვეოდა. ამას თვითონაც კარგად ხედავდა, და როგორც ეს ზნეობრივ პიროვნებას შეეფერება, ეპისკოპოსად კურთხევაზე უარის თქმის მიზეზად გულახდილად ასახელებდა. მაგალითად, გარდა იმისა, რომ ფილოსოფიაში დუალიზმის მიმდევარი იყო, სვინესიოსი საეჭვოდ მიიჩნევდა ინდივიდთა სულების უკვდავებასაც. მთავარეპისკოპოს თეოფილესათვის, რომელიც, როგორც ეს ეკლესიის ისტორიიდანაც ცნობილია, ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდის დაცვაზე დიდად არ ზრუნავდა, სვინესიოსის მცდარი ფილოსოფიური შეხედულებები ეპისკოპოსად მისი კურთხევისათვის დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. ამიტომ თავის გადაწყვეტილებაზე ხელი არ აიღო და ბოლოს მაინც აიძულა სვინესიოსი დათანხმებულიყო. იგი იძულებული გახდა გაშორებოდა ცოლ-შვილს, მაგრამ შვილებზე ზრუნვა არ შეუწყვეტია და ყოველთვის დიდი სინაზით ლაპარაკობდა მათზე. ამასობაში მომთაბარეთა თავდასხმებიც გახშირდა. კონსტანტინეპოლიცა და ალექსანდრიაც უპასუხოდ ტოვებდა სვინესიოსის დახმარების თხოვნის გამომხატველ წერილებს, რომლებსაც იგი, როგორც უკვე ოფიციალური პირი, იმპერიის ხელისუფლების წარმომადგენლებს უგზავნიდა. დიდი ტკივილი განიცადა სვინესიოსმა პირად ცხოვრებაშიც, სამი შვილი ყრმობაშივე დაეღუპა. პირად წერილებში იგი უჩივის მეგობართა გულგრილობას, რომლის მიზეზიც, შესაძლებელია, სვინესიოსის გაქრისტიანება შეიქნა.

ზუსტი თარიღი სვინესიოსის გარდაცვალებისა ჩვენთვის უცნობია. ყველაზე უფრო გაზიარებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც იგი დაიღუპა 412 წელს, პტოლემაისის ალყის დროს. გარდა ზემოთ დასახელებული თხზულებებისა, ჩვენამდე მოაღწია სვინესიოსის მრავალრიცხოვანმა პირადმა წერილებმა, რომელთა ადრესატებია მისი მამა, მთავარეპისკოპოსი თეოფილე, ჰიპატია და სხვ. ეს წერილები დიდ ინტერესს იწვევენ როგორც სტილით, ასევე აქტუალური შინაარსითაც. სვინესიოსის ეპისტოლული მემკვიდრეობის მაღალ ღირსებაზე მეტყველებს პატრიარქი ფოტიოსის დამოკიდებულება მის მიმართ, კერძოდ, იგი „მირიობიბლიონში“ აღნიშნავს, რომ ეს წერილები „აღსავსეა სილამაზით და მომხიბვლელობით“.

ჩვენვის განსაკუთრებით საინტერესოა სვინესიოს კვირინელის ის ცხრა ჰიმნი, რომელიც მას ქრისტესა და ღმრთისმშობლის სადიდებლად დაუწერია. მეშვიდე ჰიმნის დასაწყისში პოეტი თავის დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ მან ქრისტეს სადიდებლად პირველმა გამოიყენა ელინური ლექსთწყობა, კერძოდ, იგი წერს: „მე პირველმა შევთხზე საგალობელი შენს შესახებ, იესო სოლიმეელო, ქალწულის ნეტარო, უკვდავო და განთქმულო ძეო“.

საყურადღებოა ისიც, რომ თუ პირად წერილებში სვინესიოსი ატიკურ დიალექტზე წერს, ჰიმნებში იგი ანტიკურ პოეზიაში დამკვიდრებული ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება და დორიულ დიალექტს იყენებს. პირველი ჰიმნის დასაწყისში იგი ფორმინგს, თავისი პოეზიის სიმბოლოს, ასე მიმართავს:

„ჩემო წკრიალა ფორმინგო, ტეოსური სიმღერისა და
ლესბოსური ჰანგის შემდეგ
საზეიმო ჰიმნისათვის დორიულ კილოზე აჟღერდი“.

როგორც პოეტი გვეუბნება, საზეიმო სიმღერის შექმნა მას მომხიბვლელად მომღიმარე მშვენიერმა ქალწულებმა კი არ შთააგონეს, არამედ სურვილმა ღმრთისაგან შობილი წმინდა სიბრძნის – ღმრთეების შესაქებად მოემართა კითარის სიმები. სვინესიოსის რწმენით სიქველე, სილამაზე, სიმდიდრე, დიდება და მეფური პატივი არარაობაა ღმრთისმოსაობასთან შედარებით. პოეტს არ შურს არც მამაცი მხედრისა, არც მარჯვე მოისრისა, არც მამულთა და მრავალი ოქროს პატრონისა, არც ხორციელი სილამაზით დაჯილდოებულებისა, მას ენატრება წყნარი და უსახელო ცხოვრება, უცნობი – ადამიანებისათვის, მაგრამ ცნობილი ღმრთისათვის. რა წარმოშობს გულში ღმრთის სადიდებელს? თავად ღმერთი, ის, ვინც თავისი თავის საწყისია, მშობელი დაუბადებელი, სრულყოფილი და მარადიული დიდებით შემოსილი. იგია ერთიანობა ერთში და პირველი მონადა, სვინესიოსს არ სურს ხმამაღლა ილაპარაკოს წმიდა საიდუმლოებათა შესახებ. იგი უზენაესზე დუმილს ამჯობინებს და თავის ფორმინგს ურჩევს ამა ქვეყნის საქმეებს უმღეროს, რადგან გონებას მხოლოდ გონებითი სამყაროს წვდომა ხელეწიფება.

ჰიმნის დასასრულს იგი მიმართავს სულს, რაც შეიძლება სწრაფად დატოვოს ყოველივე მიწიერი და შეუერთდეს მამას, ანუ ღმერთში ღმერთად იქცეს.

და აწ სულო, დაეწაფე წყაროს სიკეთისას,
მამას ევედრე, ნუ აყოვნებ და მსწრაფლ ამაღლდი,
მიწას დაუტოვე მიწიერი
და მამას შეუერთდი,
ღმერთში განღმრთდი განლაღებული.

მეორე ჰიმნიც ღმრთის სადიდებელია და წარმოადგენს მას ვითარცა ენითაუწერელი მშვენიერი სამყაროს შემოქმედს, სადაც ყოველივე ღმრთეებრივ კანონზომიერებას ემორჩილება. მართალია, სვინესიოსი

ღმერთს სამნათლად გამობრწყინებულ სინათლის ერთ წყაროდ მოიაზრებს, მაგრამ ვერ აღწევს რა თავს ნეოპლატონიზმის გავლენას, აქვე საუბრობს „უბერებელ ანგელოზთა მხედრობაზე“, რომელიც „მართავს და განაწყობს“ სამყაროს სიღრმეებს მაშინ, როცა ქრისტიანული ღმრთისმეტყველებით, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ღმრთისმსახურნი და მისი ნების აღმასრულებელნი არიან, და „დედამიწის ირგვლივ დათესილ სულზე“, რომელიც „მიწის წილხვედრთ აცოცხლებს ნაირგვარად ნახელოვნები სახეებით“, რაც ასევე შეუთავსებელია ქრისტიანული მოძღვრებისათვის, რომლის მიხედვითაც ყველა ქმნილება უშუალოდ ღმრთისაგან შექმნილად მოიაზრება.

მეხუთე ჰიმნში, რომელიც ასევე ქრისტეს სადიდებლადაა შეთხზული, იგი განკაცებულ ღმერთს, ვინც მამასთან ერთად ბრწყინავს, მატერიალურ სამყაროში სიბნელეს ფანტავს და წმიდა სულებში ნათობს, სინათლის წყაროს უწოდებს, იგი ევედრება იესოს, ცხოვრების წმიდა გზა მისცეს, სანაცვლოდ კი მზადაა შეთხზას სიმღერა, რომლითაც ხოტბას შეასხამს მის სათავეს, კერძოდ, ზეციერ მამასა და მის თანამგზავრ სულს.

მერვე ჰიმნში სვინესიოსი ქალწულის უკვდავ, წმიდა და განთქმულ ძეს შესთხოვს დღისითაც და ღამითაც სული მისი იმ სინათლით გაანათოს, რომელიც გონების წყაროდან მოედინება. ევედრება თავისი მარჯვენით დაიფაროს მისი ძმა, და, და საერთოდ მთელი სახლი ჰესიხიდებისა. განსაკუთრებით სთხოვს დაიფაროს მისი საქორწინო უღლის გამწევი, ისე რომ მათ მუდამ ერთსულოვნება და სიყვარული აკავშირებდეთ. ხოლო რაჟამს მისი მეუღლის სხეულიდან განთავისუფლებულ სულს მიწიერი ბორკილები დასცვივა, მწარე სატანჯველისაგან დაიხსნას იგი და ნება მისცეს წმინდანთა გუნდთან ერთად წმიდა გალობით უგალობოს.

მეცხრე ჰიმნში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის ადგილი, სადაც სვინესიოსი ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლას აღწერს. აქვე უნდა

შევნიშნოთ, რომ ჯოჯოხეთს იგი, ანტიკური მითოლოგიის მიხედვით, ტარტაროსს უწოდებს. ანტიკური მითოლოგიის რემინისცენციებს წარმოადგენს აგრეთვე ჰადესისა და მისი მცველი ძაღლის მოხსენიებაც. პოეტი ქრისტეს მიმართავს: „შენ მიწის ქვეშეთში, ტარტაროსშიც, შეაღწიე, სადაც ურიცხვ სულთა კრებული იტანჯებოდა და მათი მცველი თავად სიკვდილი იყო. რაჟამს დაგინახა, შეძრწუნდა ღრმად მოხუცი, საშინელი ჰადესი. შენი ზღრუბლზე შეჩერება ვერ გაბედა ვერც სისხლს მოწყურებულმა ბოროტმა ძაღლმა, რომელსაც მრავალი ადამიანი ჰყავს შთანთქმული. მრავალ წმიდა სულს შენ დახსენი მძიმე ბორკილები და მათ წრეში ჩამდგარმა მამას დიდება აღუვლინე“.

სვინესიოსის პოეზია ავტორის გაორებულ პიროვნებას ნათლად წარმოაჩენს. მან ნეოპლატონურ სწავლებათა სრულად დათმობა, რომელთა შესწავლასაც ახალგაზრდობის საუკეთესო წლები მიუძღვნა, ვერ შეძლო, თუმცა ისიც აშკარაა, რომ გული ქრისტიანობისკენაც მიუწევდა. ამიტომაც არის მის საგალობლებში ერთმანეთში აღრეული ქრისტიანული და ნეოპლატონური სწავლებანი. მართალია, იგი ღმერთს ერთს უწოდებს, რომელიც ამავე დროს სამებაცაა, იესო ქრისტეს – მუცლადღებულ სიტყვას, იყენებს ტერმინებს: „მამასა“ და „ძეს“, მაგრამ იქვე საუბრობს ქრისტეზე, როგორც დაფარულ ძირზე, რომელიც ქალწულმა მიიღო, რათა **მამა ყრმაზე გადმოღვრილიყო** და მას უკვდავი მამის დიდებული გადმოღვრის (ზეშთა თესვის) მეშვეობით აღმომცენარე რტოდ წარმოადგენს, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად უცხოა ძე ღმრთისას ხორციელ შობაზე ქრისტიანული სწავლებისათვის (მეოთხე საგალობელი).

სვინესიოსის ჰიმნები ძნელად იკითხება, რადგან მათ ნეოპლატონიკოსთათვის დამახასიათებელი აზროვნების ბუნდოვნება და ტერმინთა აღრევა ახასიათებს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ

ნეოპლატონიზმის მიმდევართა მცდელობა, ქრისტიანული სწავლება მამა ღმერთისაგან უჟამოდ შობილი ძის – სიტყვა ღმერთის განკაცებაზე, როგორმე პლატონის იდეების მიღმურ სამყაროზე მოძღვრებასთან შეეთავსებინათ, მეტისმეტად არაბუნებრივი და ხელოვნური იყო. სწორედ ეს ხელოვნურობა შეიძლება ჩაითვალოს ძირითად მიზეზად იმ გაურკვევლობისა და ბუნდოვანებისა, რომელიც მათ სწავლებებს ახასიათებთ და არა სირთულე აზროვნებისა, როგორც ამას მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს.

როგორც ვხედავთ, სვინესიოსს მრავალ რელიგიურ საკითხზე მცდარი შეხედულება ჰქონდა, მაგრამ ცდომილებათა მიზეზი არა წინასწარი განზრახვა ქრისტიანული მოძღვრების შერყვნისა, არამედ საკითხებში გაურკვევლობა და აქედან გამომდინარე, დაბნეულობა იყო. სვინესიოსის სიწრფელეზე მეტყველებს მისი ერთ-ერთი წერილი, რომელშიც იგი ამხელს ორატორული ხელოვნების „შემგინებლებს“ და მათგან მჭევრმეტყველების ხელოვნების ძველ ტრადიციათა დაცვას ცდილობს. მისი აზრით, ამგვარი შემგინებელნი ორი კატეგორიისანი არიან: პირველნი ძაძებით (ქრისტიან ბერმონაზვნებს გულისხმობს), ხოლო მეორენი „სპეტაკი სამოსით“ შემოსილი ნეოპლატონიზმის მიმდევარი წარმართი ასკეტები. ქრისტიანებს, რადგანაც ისინი თავიანთ მოძღვრებას დაჟინებით უქადაგებენ მათ, რომელთაც მათი მოსმენაც კი არ სურთ, იგი აბეზარობას უსაყვედურებს. გაცილებით მკაცრად ლაპარაკობს ნეოპლატონიკოსებზე და დაუნდობლად ამხელს მათ, „რომელთაც ძალიანაც სურთ, რომ იმავე მნიშვნელობით სარგებლობდნენ, როგორც პირველები (ე. ი. ქრისტიანები), მაგრამ მათდა საბედნიეროდ ამასაც ვერ ახერხებენ. შენ თვითონაც იცნობ ამ ადამიანებს, განადგურებულებს გადასახადებით, ან სხვა რომელიმე უბედურებით, რომელნიც იძულებულნი არიან ცხოვრების შუადღისას

ფილოსოფოსობას შეუდგნენ, რისთვისაც მხოლოდ ერთ რამეს აკეთებენ: პლატონის მიმდევართა ჩვეულებისამებრ, ყოველი მტკიცებისას თუ უარყოფისას, ღმერთებს იფიცებენ. რაიმე სასარგებლოს მოსმენა უფრო მათი ჩრდილებისგან შეიძლება, ვიდრე თვითონ მათგან. მაგრამ როგორ ქედმაღლობენ! წარბები! ოჰ, რა მაღლა აქვთ აზიდული. ნიკაპი ხელზე დაყრდნობილი, მთელი დანარჩენი შესახედაობაც ისეთი მედიდური აქვთ, როგორიც ქსენოფონტეს ქანდაკებებს, და აი, ესენი ცდილობენ კანონად გვიქციონ ის, რაც მათთვის სასარგებლოა, სახელდობრ, რომ არავინ, ვინც რამე ღირებული იცის, თავისი ცოდნა არ გამოამჟღავნოს. უკეთუ ვინმეს ფილოსოფოსის რეპუტაცია აქვს და ამასთან, დახვეწილი საუბარიც შეუძლია, ამაში, ისინი თავიანთი თავის ფარულად დადანაშაულებას ხედავენ: თავიანთ შეცბუნებას ქედმაღლური მანჭვით ფარავენ და ცდილობენ, მიგვახვედრონ, რომ შიგნით სიბრძნით აღსავსენი არიან“ (Sines. Ep., p. 154).

როდესაც სვინესიოსი თავის ფორმინგს დორიულ კილოზე აჟღერებას სთხოვს, თავისთავად ცხადია, რომ იგი პირველ რიგში ანტიკურ ლექსთწყობას გულისხმობს, კერძოდ, მას მხედველობაში აქვს ანტიკური საზომები: იონიკები და ანაპესტები, რომელთაც ძველი ბერძენი მელიკოსი და ქორიკოსი პოეტები იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, სვინესიოსის ჰიმნებში შეიმჩნევა ჩანასახიც იმ პრინციპებისა, რომელზეც შემდეგში წმინდა ბიზანტიური ლექსი დაფუძნდა. ესაა სილაბურობა ანუ სტრიქონებში მარცვალთა თანაბარი რაოდენობა და რეფრენი ანუ მინამღერი. სვინესიოსის ჰიმნებში ხშირად გვხვდება რვამარცვლიანი და შვიდმარცვლიანი ტაეპები, რომელთა შეერთებამ შემდეგში ბიზანტიური თხუთმეტმარცვლოვანი ლექსი მოგვცა. რაც შეეხება რეფრენს, იგი ამშვენებს მეცხრე ჰიმნს, კერძოდ, ამ ჰიმნის საუკეთესო ხელნაწერებში ორ ადგილას ამგვარი მინამღერი იკითხება:

„გვირგვინოსანო სახელგანთქმულო,
დიდებულო ძეო სოლიმეელი ქალწულისა,
ჰიმნს ჩემსას შენ გიმღერი“.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სვინესიოს კვირინელის ჰიმნები ეკლესიებში იგალობებოდა, რაც შესაძლებელია, ორი მიზეზით აიხსნას: 1. ჰიმნებში არასწორ სწავლებათა გვერდით სწორ სწავლებათა არსებობით; ამასთან, მცდარ შეხედულებათა ამოცნობა ბუნდოვანებისა და ხელოვნური ენის გამო არც ისე ადვილი, იყო და 2. პოეტის პიროვნული ღირსებებით – კეთილშობილებით, სწრაფვით სამართლიანობისაკენ და სამშობლოსადმი სიყვარულით, რის გამოც იგი თანამედროვეთა შორის და შემდეგაც პატივისცემას იმსახურებდა.